ახალი გაზეთი

„რედაქციისა ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

30 მარტი - 12 აპრილი 2013 წელი №6 №8040 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

პირველი ადამიანიდან 33.

შეხვედრა "სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან" დაკავშირებით 32.

ქალაქი 37.

ერთიანწმინდაში ნაბიჯები პროიექტის ფერებით 35.

პატარების უველაზე დიდი სიხარული 32.

შავშეთიდან ვასწავლოთ ემოციების სწორად მართვა 34.

35.

სპორტულ ფესტივალ საქართველოს ჩემპიონი 34.

ბიბლიური თუ ახაბიბლიური პატიოსანი ქვების სამკუჩნაღო თვისებები 36.

"მაშინ ხელოს ხვანარეულ ანწერლით" (მოგონება)

"ჩვენ ვიწყებთ და ვაკეთებთ იმას, რასაც დავპირდით მოსახლეობას..."

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სოფელ თამარისში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო აღორძინების პროცესი და რაც დრო გავა, მით უფრო მეტად აღორძინდება საქართველო.

"ჩვენ ვიწყებთ და ვაკეთებთ იმას, რასაც დავპირდით მოსახლეობას, ვაკეთებთ იმაზე მეტსაც. ვიწყებთ იმით, რომ უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და გლეხს საშუალება ჰქონდეს, რომ ღირსეულად იცხოვროს საკუთარ სოფელში. კარგად იცით, რომ ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი. გარწმუნებთ, რომ რაც დრო გავა, მით უფრო აღორძინდება საქართველო. საქართველოში იწყება ჭეშმარიტად აღორძინების პროცესი, დავიწყებთ სოფლით და ეს გადავა ქალაქებში და გაგრძელდება", - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



"ვერც ძალაუფლების სიდიადე, ვერც ფულის სიმრავლე ..."

"სიხარული მეორე სიკეთეა სიყვარულის შემდეგ, სულიერი სიხარული არ შეიძლება იყოს ცოდვით სავსე ყოფის შედეგი, არამედ იგი ნაყოფია ღვთივსათნო, წმიდა ცხოვრებისა. იგი საერთოდ არ არის ყოფით კეთილდღეობასთან დაკავშირებული. მას ხელოვნურად, საკუთარი სურვილით ვერ გამოიწვევ. ის ბუნებრივი მდგომარეობაა სულიწმინდით გაცისკროვნებული გულისა. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ოქროპირი: "ვერც ძალაუფლების სიდიადე, ვერც ფულის სიმრავლე, ვერც ძლიერება, ვერც ჯანმრთელობა, ვერც უხვი სუფრა, ვერც შესანიშნავი სამოსელი და ვერც სხვა ადამიანური უპირატესობანი გვანიჭებენ ნამდვილ სიხარულს; იგი შედეგია სულიერი კეთილშობილებისა და სუფთა სინდისისა". ილია II

ბედნიერების საერთაშორისო დღე

გაერომ 20 იანვარი ბედნიერების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა და ამ ინიციატივით ის ცდილობს შეახსენოს მთავრობებს, რომ მოქალაქეთა ბედნიერებაზე ზრუნვა მათი მოვალეობაა და ეს პოლიტიკის და ეკონომიკის კეთებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

შეხვედრა "სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან" დაკავშირებით

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, 2013 წლის "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან გაიმართა შეხვედრა. შეხვედრაზე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა კობა ქლიბაძემ და ორგანიზაცია "მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ"-ის წევრმა იოსებ ბუაძემ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს გააცნეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №25 დადგენილება "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული პროგრამის განხორციელება საქართველოში 2009 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერება

და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა, უშუალოდ მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად. ანუ სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგება, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადგილებზე ჩატარებულ სოფლის კრებებზე უნდა გადაწყდეს.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" მიმდინარეობისას, შესრულების საერთო კოორდინაციას და მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი. აღნიშნული თანხა კი კონკრეტულ სოფელში - მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება, 2009 წელს კასპის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი იყო 368 710 ლარი, 2010 წელს 759 169 ლარი, 2011 წელს 756 849 ლარი, ხოლო 2012 წელს 996 055 ლარი. აღნიშნული თანხები 72 სოფლის ინფრასტრუქტურული სამუშაოების განვითარებას მოხმარდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები დალი დავითაშვილი და ჯამბოლატ ქამხაძე. როგორც მათ აღნიშნეს, ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა წარმატებულად განახორციელოს "სოფლის მხარდაჭერის პროგრამა", რომელიც აუცილებლად სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

პატარების ყველაზე დიდი სიხარული

ქალაქ კასპის №4 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ორგანიზაცია "ამერიკის საბჭოები"-ს "ფლექსი"-ს პროგრამის - კურსდამთავრებულებმა საჩუქრად სათამაშოები გადასცეს. მრავალი სახეობის სათამაშოებმა პატარები გაახარა და თამაშიც მაშინვე დაიწყეს.

კასპში ეს მათი პირველი ვიზიტია, როგორც ისინი ამბობენ თანამშრომლობას და მსგავს ღონისძიებებს შემდგომშიც გააგრძელებენ და სხვა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებსაც გაახარებენ.

პატარებისთვის ყველაზე დიდი სიხარული ახალი სათამაშოა - თქვენ კი მათ დღეს კიდევ ერთი სიხარული მიანიჭეთ - აღნიშნა საბავშვო

* დასასრული მე-3 გვ.

პატარების ყველაზე დიდი სიხარული

*დასასრული.

ბაღის გამგემ დალი კოტეტიშვილმა და გადაცემული ნობათისთვის მადლობა გადაუხადა. სტუმრებს თანამშრომლობისთვის, მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მოსიაშვილმა, რომელიც სათამაშოების გადაცემის პროცესს ესწრებოდა.

ცნობისათვის: "ამერიკის საბჭოები" აერთიანებს ხალხს და დაწესებულებებს აშშ-დან და ევრაზიიდან, რათა გააუმჯობესოს სწავლის და მაღალი დონის სწავლების კვლევა. არის აღიარებული ლიდერი განათლების რეფორმებში და დემოკრატიული დაწესებულებების გაძლიერებაში. "ფლექსი" არის ყოფილი საბჭოთა კავშირის 10 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის განკუთვნილი გაცვლითი პროგრამა, რომელში გამარჯვებულებიც ერთი

წლით მიემგზავრებიან ამერიკის სხვადასხვა შტატში, სწავლობენ ინგლისურენოვან კოლეჯში და ცხოვრობენ მასპინძელ ოჯახებში. მათ ყოფა-ცხოვრებას სრულად აფინანსებს აშშ-ს მთავრობა.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" და სოფლის კრებები

მიქელწყაროში სოფლის საერთო კრება გაიმართა, სადაც "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გამოყოფილი თანხის (29 000 ლარი) ფარგლებში განსახორციელებელ პრობლემაზე ისაუბრეს.

ქალაქ კასპის ტერიტორიული ორგანოს მიერ, სოფელში კრების ჩატარების შესახებ ერთი კვირით ადრე გამოიკრა საინფორმაციო განცხადებები, რათა ყველა მოსახლეს ჰქონოდა კრებაზე დასწრების შესაძლებლობა და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება.

კრებაზე მოსახლეობამ 4 ძირითადი პრობლემა გამოკვეთა: სასმელი წყალი, გამრიცხველიანება, ბუნებრივი აირი და ბინების გადახურვა. პრიორიტეტულ პრობლემაზე შეთანხმება 29 000 ლარის ფარგლებში ვერ შედგა, ამიტომ ხელახალი კრება გადაწყვეტილების მისაღებად გაიმართება და შეთანხმებაც შედგება.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან" გამომდინარე, გადასაჭრელი პრობლემის პრიორიტეტულობა თავად მოსახლეობამ უნდა განსაზღვროს, ამიტომ მნიშვნელოვანია სოფლის კრებებზე მოსახლეობის მაქსიმალური დასწრება და პრობლემაზე შეჯერება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ოლეგ იაძემ.

სოფლის კრებების ჩატარების და პრობლემის გამოკვეთის შემდეგ, მოხდება პროექტირება, სამუშაოს შესყიდვა და განხორციელება. შესრულებული სამუშაოების ხარისხს კი ინსპექტირების ჯგუფი სისტემატურად შეამოწმებს.

კასპის მუნიციპალიტეტში "სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის" განხორციელების წინა მოსამზადებელი სამუშაოები აქტიურად დაიწყო.

ცნობისათვის: 2013 წელს "სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" საქართველოს მთავრობის მიერ, კასპის მუნიციპალიტეტისათვის 950 847 ლარია გამოყოფილი.

პირველი აპრილიდან

2013 წლის 1 აპრილიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს პირველკლასელთა რეგისტრაციას 2013-2014 სასწავლო წლისათვის. სკოლაში ბავშვის შეყვანა მშობელს 5 წლის ასაკიდან იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ბავშვს 5 წელი 15 სექტემბრამდე უსრულდება. ასაკთან დაკავშირებით არჩევანს მშობელი თავად აკეთებს. რეგისტრაცია ონლაინ რეჟიმში განხორციელდება და 3 ეტაპად ჩატარდება.

I ეტაპი. 01/04/2013-დან 19/04/2013 ჩათვლით.

სკოლაში რეგისტრაცია განხორციელდება მხოლოდ შემდეგი კატეგორიის მოსწავლეებისათვის:

* ვისი და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;

* ვისი მშობელიც სკოლის თანამშრომელია;

* ვისი ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში (ტყუპები, და-ძმები).

II ეტაპი. 25/04/2013-დან 03/07/2013. განხორციელდება პირველკლასელთა საყოველთაო ონლაინ რეგისტრაცია.

სპეციალური აპლიკაცია განთავსდება ინტერნეტ საიტებზე. მშობელი ირჩევს მხოლოდ ერთ სკოლას და რეგისტრაციის ფორმაში შეაქვს შემდეგი მონაცემები: ბავშვის სახელი, გვარი

* დასასრული მე-4 გვ.

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ცნობილი ქართველი მხატვრის, რუსუდან ჯავრიშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო.

მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა და სამხატვრო გალერეის გამგემ, მხატვარმა იორამ იმედაშვილმა.

საქართველოს სახალხო მხატვარი რუსუდან ჯავრიშვილი კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში დაიბადა. მხატვრის შემოქმედების განმსაზღვრელი მშობლიური ბუნება გახდა, რომლის სილამაზესაც იგი ბავშვობიდან ეზიარა სოფელ ერთაწმინდაში.

1950 წლიდან დაიწყო მხატვრის დამოუკიდებელი გზა დიდ ხელოვნებაში. მის შემოქმედებაში გამოიკვეთა ფერწერის თითქმის ყველა ჟანრი: პეიზაჟი, თემატური კომპოზიცია, ნატურმორტი და ნაწილობრივ პორტრეტი. დღვანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამ ჟანრის ნამუშევრები:"ვარძია", "ჩვენი ეზო", "ეზო ქართლში", "ერთაწმინდა", "უფლისციხე", "სამთავისი" და სხვა.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ მადლობა გადაუხადა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ღონისძიების მოწყობისათვის. მანვე აღნიშნა, რომ გამოფენა 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება და ცნობილი მხატვრის ნამუშევრების დათვალიერების საშუალება მეტ ადამიანს მიეცემა.

რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრები დაცულია თბილისის ეროვნულ გალერეაში; საქართველოს წარმომადგენლობებში პოლონეთსა და ამერიკაში, კერძო კოლექციებში /პოლონეთი, უნგრეთი, რუსეთი, დანია/.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და სამხატვრო გალერეა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი.

ᲛᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ

წლებია, იცნობ ადამიანს, ხვდები, ურთიერთობ, ქვეცნობიერად გგონია, ყველაფერი იცი მის შესახებ და ერთ მშვენიერ დღეს იმასაც აღმოაჩენ, რომ მისი სიახლოვე, ნაცნობობა, გამოუთქმელ სიამაყესა და სიამოვნებას გძენს. ზუსტად ასეთი განცდა იყო როდესაც ტელევიზიის ეთერში მაია ნონიაშვილის გვარ-სახელმა გაიჟღერა. საქმე ის გახლავთ, რომ მან მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთ პოპულარულ გადაცემაში "რა? სად? როდის?" და მის მიერ დასმულ შეკითხვას საქვეყნოდ აღიარებულმა ერუდიტებმაც კი ვერ უპასუხეს და როგორც ხდება ხოლმე, კასპელმა ფსიქოლოგმა ეს "რაუნდი" მოუგო ინტელექტუალებს...

პედაგოგების ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი ფსიქოლოგი დიდი ხანია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჩვენს ქალაქში, თუმცა წლების წინ არჩეული "მშობლიური" პროფესიისათვის ფიქრადაც კი არ უღალატია.

მაია ნონიაშვილმა წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის კედლებში მიღებული საფუძვლიანი ცოდნა /სწავლობდა მედიცინას, ენებსა და სპეციალურ საგნებს, მონაწილეობდა ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებსა და სამეცნიერო კონფერენციებში/ წინაპირობა გახდა იმისათვის, რომ მაია ნონიაშვილი მეოთხე კურსზე ყოფნის დროს უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში ჩართეს და წინასადიპლომო პრაქტიკა ევროპის ერთ-ერთ უძველეს უმაღლეს სასწავლებელში, გერმანიაში, ქალაქ იენის უნივერსიტეტში გაიარა. სწორედ მისი სტუდენტობის პერიოდში ევროპაში /საქართველოში მაშინ ასეთი მოდური არ იყო ფსიქოლოგობა/ ბიზნეს-ფსიქოლოგიის ბუმი იყო და დაინტერესებული სტუდენტისათვის ეს პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

- გერმანიიდან დაბრუნებისთანავე მივხვდი, რომ ფსიქოლოგების უმრავლესობა სამსახურს ეძებდა, ბევრი მათგანი სპეციალობით არ მუშაობდა. 80-იან წლებში სკოლებში შემოვიდა ახალი საგანი "საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია." ჰოდა, ამ საგნის პედაგოგად დავიწყე მუშაობა სკოლებში. გულწრფელად გეტყვით, ძალიან საინტერესო იყო მეათე-მეთერთმეტე კლასებთან მუშაობა. ისინიც ინტერესით ეცნობოდნენ ამ ახალი საგნის ანბანას. სამწუხაროდ, გამოხდა ხანი და ამ საგნის სწავლება გაუქმდა სკოლებში.

სწორედ ამ პერიოდში გავიარე გადამზადების კურსები დაწყებითი კლასების სპეციალობით და გავაგრძელე მუშაობა კასპის პირველ საჯარო სკოლაში. ამ რამდენიმე წლის წინ პირველ სკოლაში, სკოლის დირექტორის თამარ აბულაძის ინიციატივითა და აქტიურობით ფუნქციონირება დაიწყო პრაქტიკოსი ფსიქოლოგის შტატმა. ეს სიახლე ძალიან საინტერესო იყო როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, ასევე მშობლებისათვის. სწორედ მაშინ მეთორმეტე კლასის მოსწავლის მარიამ ნონიაშვილის მიერ მომზადებულმა თემამ "პოსტტრავმატული სტრესი", მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა. გარდა ამისა ვატარებდით ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს, რომლებშიც ძალიან ბევრი მოსწავლე იყო ჩართული და სხვათა შორის, მშობლებიც მონაწილეობდნენ.

დიდი დრო არ გასულა და ფსიქოლოგის შტატი ისევ გაუქმდა. აღმოვჩნდი არაორდინალურ სიტუაციაში, რა უნდა მექნა, ისევ პედაგოგობას მივმართე და აი, ასე შევრჩი "აი ია-"ს. ახლა ვარ პირველი საჯარო სკოლისა და მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის დაწყებითი კლასების მასწავლებელი. სხვათა შორის, 2009 წელს მომენიჭა რესპუბლიკის საუკეთესო პედაგოგის წოდება, ვარ ლიცენზირებული პედაგოგი, დაჯილდოებული ვარ იაკობ გოგებაშვილის მედლით.

ფსიქოლოგიური დახმარების თხოვნით ხშირად მომმართავენ მშობლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, ვმუშაობ ფსიქოთერაპიულ საკითხებზეც. თანდათან ვგრძნობ, რომ საქართველოში ფსიქოლოგია ადრინდელთან შედარებით, ახლა უფრო საჭირო და პოპულარული გახდა. თუმცა ფსიქოლოგის ფუნქციას ბევრი ვერ ხვდება. მინახავს მშობლის გაოცებული და შეშინებული სახე: " ნუთუ ჩემს შვილს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება???" პასუხი ერთია: ფსიქოლოგი ყველას სჭირდება.

ფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი "ემოციური ვენტილაცია," რაც გულისხმობს ჩვენი შინაგნი სამყაროს გასუფთავებას, განტვირთვას, უარყოფითი ემოციებისაგან დაცლას. სასურველია ეს მოხდეს ფსიქოლოგის დახმარებით, რადგანაც ნეგატიური ემოციებით დატვირთული ფსიქიკა ანუ ჩვენი "ემოციური ბილიში" იბერება, იტვირთება და როდის და რა ფორმით "გასკდება" არავინ იცის. ამის პრევენცია კი სწორედ "ემოციური ვენტილაციაა". დამეთანხმებით, რომ ეს ყველას გვჭირდება ამ სტრესულ დროში. ფსიქოთერაპია ყველა ჯანმრთელი ადამიანის ნაწილი უნდა იყოს. ამის გათვალისწინებით რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენს ქალაქშიც იყოს "მშობელთა სკოლა." ეს გახლავთ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში მიღებული პრაქტიკა. სხვათა შორის, თბილისშიც, რამდენიმე ასეთი სკოლა ფუნქციონირებს და წარმატებულადაც.

მინდა გაგახსენოთ, რომ ჩვენი დიდი მეფე ვახტანგ მეექვსე ამბობდა, "ცემა გვმართებს გამზრდელისა, რა ყმა ვნახო ავად ზრდილი". აბა, დააკვირდით, როცა ბავშვი ასე ვთქვათ "ცუდია" /თუმცა ეს ტერმინი ფსიქოლოგიაში არ არსებობს, ჩვენ ვამბობთ: "ქცევითი ან ემოციური დარღვევების მქონეა/, ანუ ბავშვის "სიცუდის" მიზეზი შეიძლება იყოს შემდეგი: მძიმე გენეტიკა ან არასწორი აღზრდა. პრინციპში არც ერთია უშუალოდ ბავშვის ბრალი და არც მეორე, ორივე შემთხვევაში უფროსების დახმარებაა საჭირო, რათა სწორად მოხდეს კორექცია. ბავშვის ბრალი არ არის, რომ მან მძიმე გენეტიკა მიიღო მემკვიდრეობით ან ის, რომ ცუდად გაზარდეს. ამდენად, საჭიროა, რომ მშობლებს, პედაგოგებს, აღმზრდელებს ჰქონდეთ ბავშვის ფსიქოლოგიაზე ელემენტარული წარმოდგენა, რათა ბავშვებს პატარაობიდანვე ვასწავლოთ ემოციების სწორად მართვა, საკუთარი რესურსებით კონფლიქტის მოგვარების სწორი უნარი.

ცნობილი ჭეშმარიტება გახლავთ ისიც, რომ ყველა სფეროში საქმე პროფესიონალმა უნდა აკეთოს და არც ის დავივიწყოთ, რომ ადამიანი ზნეობრივი არსებაა და მას ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

სპორტულ ფესტივალ საქართველოს ჩემპიონი

თბილისში, მარტის დასაწყისში საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის სტუდიის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი სამეჯლისო ცეკვებში. სტუდია "თელა" პერმანენტულად მასპინძლობს ქვეყნის ჩემპიონატს. ბოლო თვეებია ტურნირებში მონაწილეობას იღებს და იმარჯვებს ჩვენი თანაქალაქელი ლევან გიგილაშვილი.

ლევან გიგილაშვილი სწავლობს ჯულიანა ბარგნარისა და ოთო ფოლადაშვილის კლასში.

გასული წლის ბოლოს სპორტულ ფესტივალში 14 წლის მოცეკვავემ პირველი ადგილი მოიპოვა. ამჯერადაც პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ჩემპიონატში სამეჯლისო ცეკვებში /15 წლის ასაკში/. მოგეხსენებათ, რაოდენობრიობა იძენს თვისობრიობის ხარისხს, ჩვენ შევეჩვიეთ ლევან გიგილაშვილის წარმატებებს, რომელიც უდიდესი ნებისყოფის, მონდომების და შრომის შედეგია.

ლევანს ვულოცავთ გამარჯვებას!

ფოტოზე: **ლევან გიგილაშვილი სტუდია "თელას" ხელმძღვანელებთან თამაზ და ლარისა გაჩეჩილაძეებთან ერთად.**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

* *დასასრული. დასაწყისი მე-3 გვ.*

და პირადი ნომერი. სასურველ სკოლაში პირველკლასელთა ონლაინ რეგისტრაციისათვის საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა არ ენიჭება.

რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისთანავე მშობელი იღებს პასუხს შვილის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. მას სისტემის მიერ მინიჭებული უნიკალური კოდი სმს-ის საშუალებითაც ეგზავნება, რომლის შენახვაც აუცილებელია.

მშობელს სკოლის არჩევაში დაეხმარება ვებგვერდი www. catalog.edu.ge, სადაც ყველა საჯარო სკოლის შესახებ დეტალური ინფორმაციაა განთავსებული.

მშობელი ვალდებულია სკოლაში მოსწავლის დოკუმენტაცია რეგისტრაციიდან 2 კვირის ვადაში წარადგინოს. ვადის გასვლის შემდეგ სისტემა რეგისტრაციის გაუქმებას ავტომატურად მოახდენს.

III ეტაპი. 29/06/2013-დან 05/07/2013. სურვილის შემთხვევაში მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ გამოთავისუფლებულ ადგილებზე ბავშვი ხელახლა დაარეგისტრირონ.

მშობელს რეგისტრაციის გაუქმება რეგისტრაციის დროს მინიჭებული უნიკალური კოდის და ბავშვის პირადი ნომრის მიხედვით შეუძლია. თუ მშობელმა გადაწყვიტა ერთ სკოლაში მოხსნას და მეორეში დაარეგისტრიროს შვილი, წინასწარ ეკრანზე გამოტანილ ფანჯარაში სასურველ სკოლაში დარჩენილი თავისუფალი ადგილები უნდა შეამოწმოს.

განათლების და მეცნიერების სამინისტრო ყველა პირველკლასელს საბავშვო სასწავლო პორტატულ კომპიუტერს გადასცემს.

ერთაწმინდაში ნახვრეტები პალიტრის ფერებით

პოპულარობა არასოდეს მოჰკლებია საქართველოს სახალხო მხატვარს რუსუდან ჯავრიშვილს, რომლის შემოქმედება განსაკუთრებით გამოირჩევა პეიზაჟებით და ნატურმორტით. შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლისთანავე ნათლად გამოიკვეთა მხატვრის ინტერესთა რკალი. ამას სავსებით ადასტურებს მის პერსონალურ გამოფენაზე /მოეწყო 1964 წელს/ წარმოდგენილი ფერწერის ორიგინალური ნიმუშები, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ამსახველი ტილოები, სადაც მთელი სიცხადით იგრძნობა, ლაღად, უდიდესი გემოვნებით, ფერთა სიუხვით აგებული ქმნილებები...

რუსუდან ჯავრიშვილის შემოქმედებაში დიდი და განსაკუთრებული ადგილი უკავია მშობლიური

სოფლის- ერთაწმინდის ამსახველი პეიზაჟების ციკლს. აქ მხატვარს წინა პლანზე აქვს წამოწეული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები, რომლითაც ასე მდიდარია მისი მშობლიური მხარე. რუსუდან ჯავრიშვილის პეიზაჟთა გალერეას ამკობს: ერთაწმინდის შუაგულში აღმართული მე-12, მე-13 საუკუნეებში აგებული წმინდა ესტატეს ტაძარი, თამარის კოშკი, რკონის ცნობილი ეკლესია, ლუარსაბ მეფის რეზიდენციის ციხის ნანგრევები, მე-12 საუკუნის ხიდი, თეძმის ხეობის თვალწარმტაცი მხარე და სხვა.

- გარდა იმისა, რომ რუსუდან ჯავრიშვილის პეიზაჟები და ნატურმორტი განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების მქონეა, ისინი ეთნოგრაფიული დატვირთვითაც ხასიათდებიან, - განმარტავს მხატვარი იორამ იმედაშვილი, - მაგალითად, ავიღოთ თუნდაც სოფლის პეიზაჟები, სადაც გამოსახულია მე -



19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის სამოქალაქო არქიტექტურის ნიმუშები. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე, ცივილიზებულმა სამშენებლო სისტემამ შეცვალა, უფრო მეტიც, საბოლოოდ გააქრო სამოქალაქო არქიტექტურა და ამდენად, მშენებლობის ადრინდელი სახე, ახლა მხოლოდ მხატვრის პეიზაჟებში შემორჩა, სწორედ ამიტომაც არის ღირებული და საინტერესო რუსუდან ჯავრიშვილის ნახატები. იგივე ითქმის მის ნატურმორტებზე, სადაც გამოსახულია ქართული და არა მხოლოდ ქართული საოჯახო ნივთები. ყოველი ნივთი, ეს იქნება ქოთანი, ლანგარი თუ სხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო საგანი ხელოვანის შემოქმედებას მხატვრულობასთან ერთად ეთნოგრაფიულ მნიშვნელობასაც სძენს. და საერთოდ, მისი მრავალფეროვანი ფერწერული ნიმუშები მხატვრის დახვეწილ გემოვნებასა და დიდ ნიჭზე მეტყველებს.

რუსუდან ჯავრიშვილის ნახატების გამოფენას ყოველთვის ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს. ასე იყო ამჯერადაც.

კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შეიკრიბნენ ხელოვნების მოყვარულები, მხატვრის ნიჭის დამფასებლები, ახალგაზრდები და მოწვეული სტუმრები. გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა.

მხატვრის შემოქმედებაზე შეკრებილ საზოგადოებას ესაუბრა მხატვარი იორამ იმედაშვილი, საინტერესო მოგონებით გამოვიდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე ლიანა ბალხამიშვილი, გამოფენის ორგანიზატორებს, მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.

ღონისძიების ბოლოს იმაზეც ისაუბრეს, რომ გამოფენა, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა ნახოს, მაგრამ სტუდენტი-ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი საჯარო სკოლების მოსწავლეები აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ მხატვრის შემოქმედებით, რომელიც ასე მდიდარი და მრავალფეროვანია, უფრო მეტიც, "დახუნძლულია" ჩვენი რაიონისათვის დამახასიათებელი შტრიხებით, ისტორიით...

“ამ მოკლე წუთისოფელში მიზნები დიდზე დიდია, მე კვლავაც მთელი გულით და შემართებით გავყვები ჩემს გზას, ჩემი მთა-ბარის ბილიკებს ქალამნებით, ტილოთი, გუდაში გამოკრული პურით, ყველით და კიდევ ... სამშობლოს სიყვარულით, ჩემი მადლიერი ხალხი ალბათ მოინახულებს, მოუვლის ჩემ მიერ მოტანილი ჩალაბულით, ბუმბულით და ტალახით აშენებულ საკუთარ ბუდეში მიყუჟულ ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხის ამსახველ პეიზაჟებს, ხალხის გენიით შექმნილ ჯვარსა და სვეტიცხოველს, ერთაწმინდას და დავითგარეჯს, ნარიყალას და გელათს, გრემს, ვარძიას, ნიკორწმინდას, ზედაზენს”...

რუსუდან ჯავრიშვილი.

გიორგი ჩადუნელი,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
დირექტორი.

“მაშინ ხელს სხვანაირად ვწერდით”

(მოგონება)

ბევრს ახსოვს ის დრო, როცა სკოლის გაკვეთილების ცხრილში გვეწერა საგნები: ხატვა, სიმღერა, ხაზვა. მათ ნაცვლად მეტწილად სხვა საგნებში გვიტარდებოდა გაკვეთილები. კლასში ის მასწავლებელი შემოდიოდა, რომელსაც პროგრამა ჩამოურჩებოდა, ან სულაც გაკვეთილები გვიცდებოდა. აღნიშნულ საგნებში ბავშვებს ნიშნები სხვა საგნების მიხედვით გვეწერებოდა.

ერთ დღეს, ზარის შემდეგ, ხატვის გაკვეთილზე მოულოდნელად ახალი მასწავლებელი შემოვიდა. - გავიცნოთ ერთმანეთიო, - მოგვმართა და სია ამოიკითხა. ამის შემდეგ პირველი კითხვა იყო: -"გიყვართ ხატვა? ვინ ხატავთ კარგად?"კლასში სიჩუმე ჩამოვარდა, ვინც სხვებზე უკეთესად ხატავდა, მათი გვარები სხვა ბავშვებმა დაასახელეს.

- კარგითო, - თითქმის მოფერებით მოგვმართა ქალბატონმა რუსუდანმა და დასძინა: "შემდეგი გაკვეთილისათვის ყველას ჰქონდეს ხატვის რვეული და ფანქრები." დარჩენილი დრო არ დაუკარგავს, ხატვის საანბანო საკითხებზე გვესაუბრა.

შემდეგ გაკვეთილს ინტერესით ველოდით. მოკლე საუბრით განგვაწყო ხატვისთვის, შემდეგ დაფაზე დაგვიხატა პატარა შტო ორი მსხლითა და რამდენიმე ფოთლით. ყველამ გულმოდგინედ დავიწყეთ ხატვა. როცა ხატვა დავამთავრეთ, ქალბატონმა რუსუდანმა ნამუშევრებს ყურადღებით გადახედა და ნიშნებიც მაშინვე დაგვიწერა რვეულებში, მეტწილად "ხუთები" და ოთხები", შედარებით ნაკლები "სამიანზე" შეაფასა. ბავშვებს ძალიან გაგვიკვირდა, ეს ჩვენთვის იმდენად უჩვეულო იყო. მანამდე ჩვენს ნახატებს, ჩვენივე შეფასებით, სასაცილოდ ვიგდებდით, არა მარტო ჩვენ, ბავშვები, ზოგჯერ - მასწავლებელიც. ამ გაკვეთილის შემდეგ ხატვის, როგორც საგნის მიმართ დამოკიდებულება აშკარად შეგვეცვალა, მეტად დავინტერესდით. ნათელი გახდა, ხატვა ორ-სამს კი არა, მეტს შეგვძლებია.

აქვე მინდა აღვნიშნო ქალბატონი რუსუდანის გაკვეთილების არანაკლები მნიშვნელობა ჩვენი, ბავშვების, ხატვისა და მხატვრობით დაინტერესების შესახებ. დროდადრო სათანადო სიტუაციას შეარჩევდა და დიდ მხატვრებზე, მათს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მათთან დაკავშირებულ საკითხებზე მარტივად გვესაუბრებოდა, ჩვენთვის გასაგებს ხდიდა მნიშვნელოვან საკითხებს.

* დასასრული მე-8 გვ.

"განთიადი - 98"

2011-2012 წლის საფეხბურთო სეზონზე გუნდმა, აფხაზეთის ფედერაციისა და შიდა ქართლის რევაზ ჩელებაძის სახელობის პირველობებზე ჩაატარა 49 თამაში, აქედან მოიგო 37, ფრედ დაამთავრა 5, წააგო შვიდი თამაში, მოწინააღმდეგის კარში გაიტანა 62 გოლი, სულ დააგროვა 116 ქულა, რაც პროცენტულად 78,9 პროცენტია.

171 გოლიდან 49 თამაშში 34 გოლი გაიტანა პაპუნა პაპაშვილმა, 24 გოლი- ბექა გზირიშვილმა, 15- ომარ ბურდულმა, 12- ნიკა ბახუაშვილმა, 10-10 გოლი გიორგი გეჯაძემ და ნოდარ მელაძემ.

"განთიადი-98"-მა მოიგო ავთანდილ /ბასა/ ღოღობერიძის სახელობის თასი, სადაც 26 გუნდს შორის 23 თბილისის წამყვანი სპორტული სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ.

შიდა ქართლის პირველობაზე 10 გუნდს შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

რევაზ ჩელებაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გუნდი კონკურსგარეშე მონაწილეობდა, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია გუნდის ფეხბურთელის პაპუნა პაპაშვილის წარმატება, რომელიც კარგი თამაშისათვის გადაყვანილია თბილისის "დინამოს" აკადემიაში. აღნიშნულ გუნდში პაპუნა პაპაშვილმა ორი საერთაშორისო ამხანაგური თამაში ჩაატარა ქალაქ ბაქოში და ორივე შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით 2;1 დაამარცხა ადგილობრივი გუნდი, ამ წარმატებული თამაშების გამო იგი შეყვანილია 15-წლამდელთა ნაკრებ გუნდში, რომელმაც "ლოკომოტივის" სტადიონზე საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში 2 : 0 დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები.

"განთიადი -98-"ის ლიცენზირებული მწვრთნელია ზაზა ჯალალი, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი.

2011-2012 წლის საფეხბურთო სეზონზე

კასპის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლას კასპში, ზემო ხანდაკში, ლამისყანაში, ოკამში, სამთავისში, ქვემო გომში შექმნილი აქვს ფეხბურთის ჯგუფები და თითოეულ მათგანში მუშაობენ ლიცენზირებული მწვრთნელები, სწორედ მათი მცდელობით და ხელშეწყობით ამჟამად ორასამდე დამწყები ფეხბურთელი ვარჯიშობს, ნიშანდობლივია ისიც, რომ კასპის საფეხბურთო სკოლის აღზრდილები აქტიურად მონაწილეობენ ქართულ და უცხოურ საფეხბურთო კლუბებში. წარმოგიდგენთ კასპის "განთიადი - 98" და "განთიადი - 99"-ის წლიურ შედეგებს.



"განთიადი -99"

2011-2012 წლის საფეხბურთო სეზონზე გუნდმა აფხაზეთის ფედერაციისა და შიდა ქართლის რევაზ ჩელებაძის სახელობის პირველობებზე ჩაატარა 46 თამაში, მოიგო 30 თამაში, ფრედ დაამთავრა 4- შეხვედრა, წააგო თორმეტი თამაში, მოწინააღმდეგის კარში გაიტანა 150 გოლი, საკუთარ კარში მიიღო 75, სულ კი დააგროვა 94 ქულა, რაც დაგროვილი ქულების 68,1 პროცენტია.

გუნდის მიერ გატანილი 150 გოლიდან 46 თამაშში მარტო 57 გოლი თორნიკე თაგვიაშვილმა გაიტანა, 18-ლუკა ბაშარულმა, 14- მიხეილ სპარსალიშვილმა, 12- ალეკო მაჭარაშვილმა, 10-ნიკა ბურდულმა.

აფხაზეთის ფედერაციის პირველობაზე ვლადიმერ ბარქაიას სახელობის ტურნირზე მონაწილე 24 გუნდს შორის, რომელშიც გამოდიოდა თბილისის 17 წამყვანი სპორტული სკოლის გუნდი, კასპის "განთიადი-99"-მა მეორე ადგილი დაიკავა.

რევაზ ჩელებაძის სახელობის საერთაშორისო პირველობაზე ქობულეთში მოასპარეზე 10 გუნდს შორის კასპის "განთიადი -99" ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. აღნიშნულ ტურნირზე 13 გოლი გაიტანა და საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მოიპოვა თორნიკე თაგვიაშვილმა. მიღწეული მაჩვენებლების გამო თორნიკე მოხვდა თბილისის "დინამოს" აკადემიაში, მონაწილეობა მიიღო კიევში ოთხი გუნ-

დის მინსკის, მოსკოვის, კიევის, თბილისის საერთაშორისო პირველობაზე. პირველ თამაშში, "კიევის დინამოსთან" ორი გოლი გაიტანა თორნიკე თაგვიაშვილმა. ახლა კი, თორნიკე თაგვიაშვილი თბილისის პირველი ნაკრები გუნდის წევრია.

კასპის "განთიადი -99"ის ლიცენზირებული მწვრთნელი გახლავთ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ყოფილი წევრი მალხაზ ჯალალი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

"დიდგორის" მორიგი წარმატება

მიმდინარე წლის 9 მარტს ქ. კასპის მუნიციპალიტეტის დავით ჯავრიშვილის სახელობის ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი "დიდგორი" (სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, რეპეტიტორები: დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი) მიწვეული იყო საბავშვო ფესტივალების და კონკურსების ორგანიზაცია "სანსეტი"-ს მიერ ქ. თბილისში "არტ-ჰოლი"-ს კულტურის სასახლეში, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კონცერტზე "იავნანა".

გვესაუბრება ქორეოგრაფიულ ანსამბლ "დიდგორი-"ს სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე: მაყურებლის წინაშე დიდგორი ორი ცეკვით წარსდგა: "მთიელთა კაფია" და "რაჭა ჩემი სიყვარული." მინდა გითხრათ, რომ "არტ-ჰოლის" სასახლეში არის უახლესი აპარატურა, განათება. დარბაზში ისეთი გათბობაა, რომ ლაბადით ვერ გაჩერდები, არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა, გარდერობი: სადაც მოცეკვავე იცვლის ნაციონალურ კოსტიუმს და ნამდვილი მსახიობივით იკეთებს მაკიაჟს. ჰოდა, ამ პირობებში არ ხარ ვალდებული საუკეთესოდ იცეკვო?! არც დიდგორელებმა დააკლეს წარმატებული გამოსვლა სარვამარტო ზეიმს. თითოეულ "დიდგორელში" "სახალხო"-ს საპატიო წოდება, /რომელიც ანსამბლს 1997 წელს მიანიჭა საქართველოს კულტურის სამინისტრომ/, მოცეკვავეებისგან დიდ პასუხისმგებლობას ითხოვს. თითოეული მოცეკვავე დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით და ოქროს მედლით, ანსამბლი დიდი ოქროს მედლით. განუზომელი სიხარულია ანსამბლის ხელმძღვანელებისათვის, მოცეკვავეებისათვის და მშობლებისათვის, რომლებიც ასე ერთგულად ემსახურებიან "დიდგორს." გვეამაყება, რომ ვართ 56 მედლის მფლობელები.

ბიბლიური თუ არაბიბლიური პატიოსანი ქვების სამკურნალო თვისებები

პატიოსანი ქვების ტარება შესაძლებელია სამკაულის ან აქსესუარის სახით. ისინი შეიძლება გვქონდეს სამუშაო მაგიდაზე, ბალიშის ქვეშ და ასე შემდეგ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მინერალს შესაბამისად სჭირდება მოხმარება. მაგალითად, აქატის ზოგიერთი ფერი მარჯვენა მხარეს, ზოგი კი მარცხენა მხარეს უნდა ვატაროთ. პატიოსანი ქვების მოთავსება არ შეიძლება ფულთან ერთად; ქვა ცდილობს დაჯაბნოს მისი უარყოფითი ენერგეტიკა, ამიტომ იხარჯება და ჭუჭყიანდება. უმჯობესია, იგი ცარიელ ჯიბეში ჩაიდოთ და ხელით ხშირად შეეხოთ.

ჩვენი წინაპრები დაღლილობის შეგრძნების მოსახსნელად მინერალს ადამიანს ფეხის გულზეც აკრავდნენ. ორგანიზმში ჭარბად გამოყოფილი მჟავის გამო ადამიანი სისუსტეს გრძნობს ფეხებში – ე. ი. ინფორმაცია ჩაიკეტა და ჩაკრიდან მისი გასვლა აღარ ხერხდება. მინერალი კი უღონობას აქარწყლებდა.

გარდა ამისა, ქვას ანაკუწებდნენ და აკუპუნქტურ წერტილებზე ამაგრებდნენ. წყალშიც დებდნენ და შემდეგ ამ წყალს სვამდნენ. ამ ყველაფერს გარკვეული ცოდნა სჭირდება.

მინერალი ერთი დღის განმავლობაში მარილიან წყალში უნდა ჩაიდოს, შემდეგ გამდინარე წყალში მოათავსოთ, მერე აუცილებლად მზეზე გააშროთ. შემდეგ ვერცხლის კოვზით უნდა აიღოთ, ჭიქა წყლით მარცხენა ხელით უნდა აავსოთ და მინერალი შიგ ჩაუშვათ. მერე ისევ ვერცხლის კოვზით ამოიღოთ და წყალი მარჯვენა ხელით დალიოთ.

ბუნებრივ პატიოსან ქვას მოვლა და სისუფთავე სჭირდება, ამიტომ ქვასთან ერთად ბანაობა აუცილებელია. გარდა ამისა, თვეში 2-3-ჯერ ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში ერთი ჩაის კოვზი მარილი უნდა გახსნათ და მასში ქვა კარგად გარეცხოთ ჯაგრისით, გაატაროთ გამდინარე წყალში და ერთი-ორი საათით მზეზე დადოთ. პატიოსანი ქვა გასუფთავდება და დადებითი ენერგეტიკით დაიმუხტება. იგი დიდხანს მოგემსახურებათ არა მარტო როგორც დამცავი თილისმა, არამედ ბიოველსაც გაგიჯანსაღებთ.

ბიბლიური თუ არაბიბლიური პატიოსანი ქვები თავიანთ სამკურნალო თვისებებს შემდეგი დაავადებებისას განსაკუთრებულ სიძლიერეს ავლენენ.

ალერგია – ლაზურიტი, სარდიონი, ძოწი, მარჯანი, ლუმაშელი, ქარვა, მარგალიტი, სადაფი, მალაქიტი, ცირკონი...

ანემია – სარდიონი, ობსიდიანი, ჰემატიტი, იაგუნდი, ძოწი, მარჯანი, ტოპაზი...

ალკოჰოლიზმი – ამეთვისტო, სალესი ქვა (კვარციანი ქვაქვიშა), ობსიდიანი...

ბრონქიალური ასთმა – სარდიონი, ლაზურიტი, ქარვა, საფირონი...

მშობიარობას აადვილებს – აქატი, მთის ბროლი (ქარცხი), კვარცი, სარდიონი, ქალცედონი, ქრიზოპრაზი, იასპი...

გულისცემის მოწესრიგება – აქატი, სარდიონი, ფირუზი, მთის ბროლი, კვარცი, ბივრილი...

დეპრესია – ქალცედონი, ლაზურიტი, აქატი, ძოწი, მარჯანი...

ბრონქიტი – ქარვა, აქატი, პირიტი, გაიცინტი...

* დასასრული მომდევნო ნომერში

კასპის მუნიციპალიტეტში 2013 წლის 24 მარტს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით შეიქმნა კომისია. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგოლაური.

კომისიამ დააფიქსირა და ადგილზე შეისწავლა დაზიანებები. აღდგენით სამუშაოებს შვიდი ხუთკაციანი ბრიგადა აწარმოებს.







გამოგვეხმაურეთ!

ლოცოვით თქვენი ყვლი ჩვენს მცოვნეში!



,,ახალი განთიადი,, იძიებს ყველფერი ლოკალური ინფორმაციის ყველგან ოთოლ-მცოვნის შეგროვებას.
თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლოცოვით თქვენი ყვლი ჩვენს მცოვნეში! გამოგვიგზავნეთ ყველფერი ლა ყველანი ოთოლები!

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის სპეციალურ სპეციალურ დამატებაში

ძვირფასო ბავშვებო!

წინ მოულოდნელად სასიამოვნო შეხვედრები გელოდებათ. მობრძანდით რედაქციაში, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში "ეეხურა."

მადლობა

"ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?" - ასეთი სულისკვეთებით შრომობს სოფელ ზემო ხანდაკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ბატონი ვასილ ქვრივიშვილი.

დიდი ხანია სოფელს სასმელი წყალი არ ჰქონდა და სწორედ ბატონ ვასილის მონდომებითა და შრომით ასრულდა სოფლის დიდი ხნის ოცნება. დღეს თითქმის ყველა ოჯახში მოდის წყალი.

დიდი მადლობა ვასილ ქვრივიშვილს გაწეული შრომისათვის და ვიტოვებთ იმედს ხშირად მოგვიწევს მადლობის გადახდა მომავალშიც.

სოფელ ზემო ხანდაკის მოსახლეობა.

"მაშინ ხელს სხვანაირად აწერდით"

(მოგონება)

* დასასრული

დრო, რომელზედაც მოგახსენებთ, ის დროა, როცა იშვიათად შეხვდებოდი პიროვნებას, რომელიც საზღვარგარეთ იყო ნამყოფი. ჩვენთან მუშაობის პერიოდში ქალბატონი რუსუდანი იტალიაში იყო ნამოგზაურები. ამ დროს ჩვენ მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოდან ვიცოდით ცნებები: "რენესანსი", აღორძინების ხანის ტიტანები: ლეონარდო, მიქელანჯელო, ტიციანი, რაფაელი. სახელმძღვანელოში შესული "კოლიზეუმის," "პიზის კოშკის" რეპროდუქციები და სხვა. რა თქმა უნდა, აღნიშნული ცნებების არსის მნიშვნელობა და ადგილი ნაკლებად გაგვეგებოდა. ქალბატონი რუსუდანი ცდილობდა, ჩვენთვის ამგვარი საკითხები საცნაური და საინტერესო გაეხადა.

რუსუდან მასწავლებლის ამგვარი საუბრებიდან ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი. რეპინის მხატვრულმა ტილომ- ივანე მრისხანეს მიერ ტახტის მემკვიდრის- თევდორეს მკვლელობის შესახებ. გვესაუბრა სურათზე ჭარბად გამოყენებული სისხლის ფერის მნიშვნელობაზე. აქვე მიგვანიშნა, რომ თითქმის დასრულებული სურათისთვის მხატვარმა დიდ ხანს ეძება თევდორეს პერსონაჟისათვის მოდელი. შემდეგ ქუჩაში შემთხვევით შეხვდა მისთვის საინტერესო ტიპს და სურათიც დაასრულა. ამ სურათთან დაკავშირებით ქალბატონი რუსუდანის ნაამბობიდან დღევანდლამდე არ მავიწყდება ის, თუ ერთმა დამთვალიერებელმა როგორ ძლიერ აღიქვა სურათზე აღბეჭდილი ამბავი, რეალობის გრძნობა დაკარგა, წონასწორობიდან გამოსულმა შვილის მკვლელ მამაზე - ივანე მრისხანეზე - "შური იძია" და სურათი დააზიანა. ქალბატონმა რუსუდანმა აქვე დასძინა: მხატვარი ამ დროს რუსეთში არ იმყოფებოდა, მის ნახატს არ აკადრეს სხვისი ფუნჯის ჩარევა და ავტორი საგანგებოდ ჩამოიყვანეს დაზიანებული ადგილის აღსადგენად.

როგორც მოგახსენეთ, ხატვის სწავლების პროფესიული მეთოდით, საინტერესო საუბრებით რუსუდან მასწავლებელი ბავშვებს მალე შეგვიყვარდა. სამწუხაროდ, ქალბატონ რუსუდანს ჩვენს სკოლაში დიდხანს არ უმუშავია, მისი წასვლის შემდეგ ხატვა ისევ მეორეხარისხოვანი გახდა.

მეორე შეხვედრა მხატვართან საკმაოდ გვიან მქონდა.

19... წელს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში მის პერსონალურ გამოფენას ვათვალიერებდი. საგამოფენო დარბაზში დიდხანს ვიტრიალე. ყველა სურათს გულმოდგინედ ვაკვირდებოდი. დარბაზში ქალბატონი რუსუდანი ტრიალებდა, ზოგი ავტოგრაფს სთხოვდა, ზოგი შეკითხვით მიმართავდა. მინდოდა, თავი შემეხსენებინა, მაგრამ ვერ შევბედე. არ ვიცი, რატომ და ქალბატონი რუსუდანი გამომელაპარაკა:

- რომელი სურათი მოგეწონა?

- "დედის ტვირთი."

- კიდევ?

- "დედაბოძი".

შემდეგ სხვა დამთვალიერებელი გამომელაპარაკა. მხატვარი, რა თქმა უნდა, აღარ შემიწუხებია.

ამის შემდეგ ყოფილ მასწავლებელს სამსახურებრივი დავალებით შევხვდი. ჩვენი მუზეუმის საჭიროებისათვის, როგორც ექსპოზიციის, ისე ფონდების დასაკომპლექტებლად საჭირო მასალებისთვის მხატვართან სახლში მივედი. თბილად მიმიღო, მისვლის მიზეზი გავაცანი, ვისაუბრეთ, არ უნდოდა ხელცარიელი გამოვეშვი. თავისი სურათების კატალოგი და ფოტო გადმომცა მუზეუმისათვის. როდესაც ავტოგრაფები დააწერა და ხელი მოაწერა, მივმართე:

- ქალბატონო რუსუდან, მაშინ ხელს სხვანაირად აწერდით.

- როგორ სხვანაირად?

- თქვენი სახელისა და გვარის მხოლოდ პირველი ასოები იყო ერთმანეთთან ლამაზად შერწყმული.

- ეგ როდის? - მკითხა ქალბატონმა რუსუდანმა.

- მაშინ, როცა კასპის №1 საშუალო სკოლაში ხატვას გვასწავლიდით, - ვუთხარი და იქვე მივანიშნე:

- ხატვის რვეული, რომელიც თქვენს დროს მქონდა, დღემდე მაქვს შენახული, რადგან "ხუთის"გარდა სხვა ნიშანი არ მიწერია-მეთქი.

ჩემთვის, რა თქმა უნდა, ის დღეც დღევანდლამდე დაუვიწყარია.

ლ. ბალხამიშვილი,
კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე.

80 წელი თქვენს გვერდით
გ ა ა მ ო ი ნ ე რ ე თ
,,ახალი განთიადი,,!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76